



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 444
02/07/2018

444-09-4-201807021437



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ ბეშუმში საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 14. 35. 543) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

მიმდინარე წლის 13 ივნის დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ლალი ბერიძის №6169/09 განცხადებაზე, რომლითაც მოთხოვნილია ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ ბეშუმში, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი **23. 14. 35. 543**) საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე და მე-IX-ე თავების მოთხოვნათა შესაბამისად დამუშავებული დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს ლალი ბერიძის მოთხოვნა და დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ ბეშუმში საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **23. 14. 35. 543**) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე და მე-IX-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული

დაგეგმარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2018 წლის 25 ივნისის N1464-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს ლალი ბერიძის მოთხოვნა და დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის კურორტ ბეშუმში საცხოვრებელი სახლის (დასასვენებელი კოტეჯი) მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 14. 35. 543) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა